ოქმი №3

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 8 აპრილს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. კალანდარიშვილი, ლ. უჩანეიშვილი, გ. შომახია, ზ. ნაჭყებია, ე. ოდიშარია, ე. კვაშილავა, ვ. კირცხალია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: დ. ალანია.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დ. ალანია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დ. ალანია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ბ. კალანდარიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7, წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი კალანდარიშვილი